ჭიათურის კრიზისი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

2021

ავტორი: გიორგი ლანჩავა, გიორგი ცინცაძე

ხელმძღვანელი: თათული ჭუბაბრია

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

https://socialjustice.org.ge/

info@socialjustice.org.ge

www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

მწვავე სოციალური და ეკოლოგიური კრიზისის წინაპირობები ჭიათურაში 4

მანგანუმის მოპოვების სპეციფიკა ჭიათურაში 6

არაეფექტური რეგულირება და საკანონმდებლო სისუსტეები 8

სახელმწიფოს როლი სამთო-მოპოვებასთან დაკავშირებულ განსახლებასა და გადაადგილების შემთხვევებში (ე.წ. MIDR) 10

შუქრუთის დაზარალებული მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები და მოთხოვნები 11

დაზარალებული მოსახლეობის სათანადო წესით კომპენსირების შესახებ 12

„ჯორჯიან მანგანეზის“ თვალთმაქცური ქმედებები გაჩენილი მოთხოვნების საპასუხოდ 14

„ჯორჯიან მანგანეზი“ - კონფლიქტის მხარე თუ მედიატორი? 14

„ჩანაცვლების ღირებულების“ კომპენსირება თუ ზიანის ერთჯერადი ანაზღაურება 14

უფლებების შეზღუდვა ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ 15

დასკვნა 16

მწვავე სოციალური და ეკოლოგიური კრიზისის წინაპირობები ჭიათურაში

2006 წელს ჭიათურის მუნიციპალიტეტში 13 068 ჰა (მთლიანი ფართობის 24%) ტერიტორიაზე 40 წლის ვადით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია გაიცა. დღეს, აღნიშნულ ლიცენზიას შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ ფლობს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ლიცენზიის ფარგლებში მანგანუმის მოპოვება, გარეცხვა/დამუშავება და გამდიდრება მიმდინარეობს. საქმიანობა ადგილობრივ გარემოს მნიშვნელოვან, მოცულობით და ხშირად შეუქცევად ზიანს აყენებს.

კომპანიამ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია უკიდურესად დერეგულირებული კანონმდებლობის საფუძველზე მიიღო.[1] 2006 წლიდან არსებული ლიცენზიის მიუხედავად, კომპანიას 2009 წლამდე გარემოზე ზემოქმედების შეფასების არც დოკუმენტი და არც ნებართვა არ გააჩნდა. არსებული სამი წლის მანძილზე კომპანიის მიერ ადგილობრივ გარემოზე მიყენებული ზიანი სრულიად შეუფასებელი და შეუსწავლელია. სახელმწიფო ამ პერიოდში მიმდინარე საქმიანობაზე არანაირ ზედამხედველობას არ ახორციელებდა. კომპანიის სახელზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მხოლოდ 2009 წელს გაიცა.[2]

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა 2005 წლიდან სახელმწიფოს სალიცენზიო და სანებართვო პირობების ზედამხედველობას ავალდებულებდა,[3] სახელმწიფომ შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობის კონტროლი და შემოწმება მხოლოდ 2012 წელს დაიწყო. 2017 წლამდე კომპანიის საქმიანობის კონტროლი აქტიურად მიმდინარეობდა. ინსპექტირებების შედეგად, როგორც სალიცენზიო, ისე სანებართვო პირობების დარღვევის ფაქტები არაერთგზის დაფიქსირდა. სახელმწიფო ზედამხედველობამ აჩვენა, რომ კომპანია თითქმის არცერთ სავალდებულო მოთხოვნას არ ასრულებდა, ხოლო პასუხისმგებლობის სახით ჯარიმების განსაზღვრასა და მათი ოდენობის ზრდას არანაირი დადებითი შედეგი არ მოჰქონდა. კომპანიის მიერ გარემოზე მიყენებული ზიანისა და სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევის გამო სახელმწიფოს წინაშე გადასახდელი ჯარიმის ოდენობა თითქმის 400 მილიონ ლარს შეადგენდა.[4]

საქართველოს კანონმდებლობა სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევისა და მისი არაერთგზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში აღნიშნული აქტების გაუქმებას ითვალისწინებს.[5] თუმცა, სახელმწიფოს მიერ გაჟღერებული პოზიციის თანახმად, ჭიათურაში არსებული საწარმო ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების ძირითად წყაროს წარმოადგენდა,

---

[1] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის რედაქცია - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=3

[2] ჯორჯიან მანგანეზი - კომპანის პროფილი, 2019 წ. „მწვანე ალტერნატივა“ - იხ. ბმული - http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/12/GM_Geo_2019.pdf - გვ. 6

[3] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 2005 წლის რედაქცია - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=0 - თავი V

[4] ჯორჯიან მანგანეზი - კომპანის პროფილი,2018 წ. „მწვანე ალტერნატივა“ - იხ. ბმული - http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/12/GM_2018_Geo.pdf - გვ. 4

[5] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91 - მუხლი 22

მისი საქმიანობის შეჩერება კი ჭიათურის მუნიციპალიტეტში სოციალურ კრიზისს გამოიწვევდა.[6] სახელმწიფომ საკანონმდებლო შესაძლებლობით ისარგებლა და შპს „ჯორჯიან მანგანეზში“ 3 წლის ვადით სპეციალური გარემოსდაცვითი მმართველი დანიშნა.[7] მმართველის დანიშვნის პროცესში არაერთი ბუნდოვანი და საეჭვო გარემოება გამოიკვეთა,[8] ხოლო მისი საქმიანობის მთავარ მიზნად გარემოსთვის მიყენებული ზიანის მაქსიმალური შემცირება და სალიცენზიო/სანებართვო პირობების ზედმიწევნით დაცვის უზრუნველყოფა განისაზღვრა.

საწარმოში სპეციალური მმართველის დანიშვნის შემდეგ, პრაქტიკულად შეწყდა სალიცენზიო და სანებართვო პირობების სახელმწიფო კონტროლი. ზედამხედველობის ორგანოები პირდაპირ თუ ირიბად თავს იკავებენ შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ საქმიანობის მონიტორინგისგან და სრულად ეყრდნობიან სახელმწიფო მმართველის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს.[9] ეს ჭიათურაში მიმდინარე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებას უკიდურესად ჩაკეტილ და გაუმჭვირვალე პროცესად აქცევს. ასევე აღსანიშნავია, რომ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პროცესში კომპანიამ ათამდე შუამავალი რგოლი, ე.წ. კოოპერატივებიც გააჩინა, რომლებიც სხვადასხვა სახის სამუშაოებს, მათ შორის მძიმე ტექნიკით მიწის ზედაპირის გათხრასა თუ მადნის რეცხვას აწარმოებენ.[10] კოოპერატივებს სამთო-მოპოვებითი საქმიანობის ლიცენზია არ გააჩნიათ და კომპანიასთან ბუნდოვანი შეთანხმებების საფუძველზე ოპერირებენ. სამწუხაროდ, აღნიშნული კოოპერატივების საქმიანობის კონტროლი ასევე არ მიმდინარეობს. ზედამხედველობის ორგანოებმა ადგილზე საჯარო მმართველობის, ადამიანების უფლებებისა და ადგილობრივ გარემოზე მიყენებული ზიანის კონტროლის ვალდებულება სრულად მოიხსნეს, რამაც ჭიათურაში უმძიმესი პროცესების განვითარება,[11] არაერთი მასშტაბური საპროტესო აქცია და გაფიცვა გამოიწვია.[12]

აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე კომპანიის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ახალი მეთოდების დანერგვამ, მადნის ამოღების სისწრაფის გაზრდამ და ღია კარიერების გაჩენამ, პირდაპირპროპორციულად გაზარდა ადგილობრივ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანის მოცულობა.[13] ლიცენზიის მიღებიდან 15 წლის შემდეგ, კომპანიის საქმიანობის შედეგად შეუქცევადი დაზიანებისა და განადგურების წინაშე დადგა სოფელი შუქრუთი, რომლის ქვეშაც აქტიურად მიმდინარეობს წიაღისეულის მოპოვებითი სამუშაოები. შედეგად სოფელს პრაქტიკულად საძირკველი აღარ გააჩნია, ადგილზე არსებულ

---

[6] „ჯორჯიან მანგანეზის სპეციალური მმართველი - საწარმოს გაჯანსაღების თუ წილების გადანაწილების მორიგი მცდელობა?“ მწვანე ალტერნატივა - იხ. ბმული - http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/07/Chiatura_case_GEO_June_2018.pdf - გვ. 3

[7] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=91 - მუხლი 22

[8] იხ სრულად - „ჯორჯიან მანგანეზის სპეციალური მმართველი - საწარმოს გაჯანსაღების თუ წილების გადანაწილების მორიგი მცდელობა?“ მწვანე ალტერნატივა - იხ. ბმული - http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/07/Chiatura_case_GEO_June_2018.pdf - მუხლი 13, 14

[9] ჯორჯიან მანგანეზი - კომპანის პროფილი,2021 წ. „მწვანე ალტერნატივა“ - იხ. ბმული - http://greenalt.org/wp-content/uploads/2021/04/GM_Geo_2021.pdf - გვ. 13

[10] „ჯორჯიან მანგანეზი“ ალყაში - ხელისფულება გარემოსა და ხალხის წინააღმდეგ - იხ. ბმული - https://bit.ly/2SUDMof

[11] „განადგურებული ჭიათურა - მიმდებარე სოფლებში მძიმე ტექნიკა ყველაფერს თხრის“ - იხ. ბმული - https://mtavari.tv/news/19422-ganadgurebuli-chiatura-mimdebare-soplebshi-mdzime

[12] პროტესტსის მესამე დღე ჭიათურაში - იხ. ბმული - https://pia.ge/ka/news/sazogadoeba/protestis-mesame-dghe-chiaturashi

[13] „მუნჯი ქალაქი - ჭიათურა „ჯორჯიან მანგანეზის“ ტყვეობაში“ - იხ. ბმული - https://bit.ly/2SYXoHH

შენობა-ნაგებობებზე შეუქცევადი ეროზიული პროცესები დაიწყო. ადგილობრივი მაცხოვრებლების სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყოველდღიურად უფრო და უფრო მეტი საფრთხის ქვეშ ექცევა.[14] ლიცენზიის ვადის ამოწურვამდე ჯერ კიდევ 25 წელი რჩება, ხოლო მოპოვების სისწრაფის და საფრთხისშემცველი პრაქტიკების გათვალისწინებით, სამწუხაროდ, შუქრუთის მსგავსი საფრთხის წინაშე მალე შეიძლება ჭიათურის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები და დასახლებული პუნქტებიც აღმოჩნდნენ.

პარალელურად, სახელმწიფომ 2020 წელს „ჯორჯიან მანგანეზის“ სპეციალურ მმართველს თანამდებობაზე ყოფნის პერიოდი კიდევ სამი წლით გაუხანგრძლივა. საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისთვის, ისევე როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის უცნობია თუ რა გარემოებების გათვალისწინებით აფასებს დადებითად სახელმწიფო სპეციალური მმართველის საქმიანობას.

მანგანუმის მოპოვების სპეციფიკა ჭიათურაში

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ ჭიათურაში გაჩენილი წუხილების გამომწვევი მიზეზები, აუცილებელია განვიხილოთ მანგანუმის მოპოვების ადგილობრივი სახე. საერთაშორისო ლიტერატურა იცნობს წიაღისეულის მოპოვების ორ ტიპს - „გრინფილდ“ და „ბრაუნფილდ“ პროექტებს.

ამ ცნებების განმარტება ხშირად არაერთგვაროვანია,[15] თუმცა, როგორც წესი, „გრინფილდ“ მოპოვებაში მოიაზრება ის პროექტები, სადაც პროცესი იწყება „სუფთა ფურცლიდან“ - ანუ იქ, სადაც მანამდე მოპოვება არ მიმდინარეობდა. „ბრაუნფილდ“ კატეგორია უფრო ფართოა და მოიცავს მოპოვების ყველა იმ კერას, რომელსაც აქვს მოპოვების ან სხვა ტიპის ეკონომიკური აქტივობის ისტორია. სამთო-მოპოვებით ინდუსტრიაში „ბრაუნფილდ“ ლოკაციებად ითვლება მიტოვებული მაღაროები და მათი მომიჯნავე ტერიტორიები, სრულად ან ნაწილობრივ ათვისებული ღია კარიერები და სხვა. ამ ადგილებზე მოპოვება შესაძლოა შეწყვეტილი (რესურსის ამოწურვის ან სხვა მიზეზით) ან განახლებული იყოს, ან შესაძლოა ნაწილობრივი დატვირთვით მიმდინარეობდეს დღემდე.

„ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ 2006-07 წლებში ჭიათურაში მანგანუმის მოპოვების განახლება „ბრაუნფილდ“ ლოკაციის ხელახლა ათვისების მაგალითია. ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო და ადგილზე „ჯორჯიან მანგანეზის“ გამოჩენამდე თითქმის 150 წლის მანძლზე წყვეტისა და განახლების არაერთი ციკლის განმავლობაში მიმდინარეობდა. შესაბამისად, ჭიათურაში დღეს გვხვდება თითქმის ამოწურული მაღაროები, ნახევრად ათვისებული ღია კარიერები და მათი მომიჯნავე ტერიტორიები, რის ხარჯზეც კომპანია და მისი კონტრაქტორები თანდათან აფართოებენ მოპოვების არეალს.

„გრინფილდ“ პროექტების დაწყებისას, მომპოვებელ კომპანიებს შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ მოპოვების არეალი და მოამზადონ განსახლების გეგმა, ხოლო სახელმწიფო ზედამხედველობის უწყებებს აქვთ საშუალება ნებართვების გაცემისა და სალიცენზიო პირობების შეთანხმებისას, ანუ დაგეგმარების ეტაპზე, მკაფიოდ განსაზღვრონ მხარეთა

[14] „შუქრუთის გოდება - რეპორტაჟი სოფლიდან, რომელიც მიწას ჩააქვს“ - იხ. ბმული - https://mtisambebi.ge/news/ecology/item/1296-shuqrutis-godeba-reportaji-soplidan,-romeliz-mixas-chaaqvs

[15] Alker, S., Joy, V., Roberts, P., & Smith, N. (2000). The Definition of Brownfield. Journal of Environmental Planning and Management, 43(1), 49–69. doi:10.1080/09640560010766

პასუხისმგებლობები და თავიდან აირიდონ შესაძლო მატერიალური თუ არამატერიალური ზიანი. „ბრაუნფილდ“ ლოკაციების ათვისება, ზიანის თავიდან აცილებისა თუ კომპენსაციის კუთხით, უფრო რთულ კონტექსტად მოიაზრება, რადგან წინარე მოპოვებისა თუ დაბინძურების ისტორია შესაძლოა ართულებდეს პასუხისმგებლობის ცხადად განსაზღვრას და ზარალის ფიზიკურ თუ სამართლებრივ შეფასებას.

სხვა პრობლემებთან ერთად, ჭიათურაში ეს საკითხიც გვხვდება. „ჯორჯიან მანგანეზი“ ხშირად ზიანსა თუ დაბინძურებას მის წინამორბედ მომპოვებლებს უკავშირებს. ამასთან, ჭიათურაში, მოპოვების ხანგრძლივი ისტორიის გამო, რიგ შემთხვევებში გვხვდება განსახლებისა და ზიანის ანაზღაურების წინარე ისტორიაც. ამასთან, ვინაიდან ჭიათურაში მოპოვება ფორმალურად სხვადასხვა სახელმწიფოს და, შესაბამისად, განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირების პირობებში მიმდინარეობდა, მიყენებული ზიანის და მისთვის გაცემული ან არ-გაცემული კომპენსაციის საერთო ჩარჩოში მოქცევა და მათი დღევანდელი მოსახლეობის წუხილებთან მიმართებაში გათვალისწინება ხშირად შეუძლებელია.

„ბრაუნფილდ“ მოპოვებისთვის ასევე დამახასიათებელია მიწის და ტერიტორიის არა ერთიანი, არამედ ეტაპობრივი ათვისება.[16] თუ სხვა ტიპის ათვისების პროექტებში (მაგალითად ჰიდროელექტროსადგურის დაგეგმვისას) მიწა, რომელიც საპროექტო არეალში ექცევა როგორც წესი მკაფიოდ და წინასწარ განისაზღვრება, წიაღისეულის მოპოვების „ბრაუნფილდ“ კერებში, მიწაზე წვდომის მოპოვება ხდება არა ერთბაშად და საწყის ეტაპზევე, არამედ ‘საჭიროების მიხედვით.’ წიაღისეულის მოპოვებას ახასიათებს უნიკალური თანმდევი პროცესი, როცა განსახლებები ხორციელდება თანდათანობით, მეთოდით, რომელსაც დოუსონი (2014), უწოდებს ‘მოპოვების გაფართოებისა და მიწის ნაბიჯ-ნაბიჯ დაგროვების სტრატეგიას.[17]

ჭიათურაში მსგავსი სტრატეგიით ოპერირებს „ჯორჯიან მანგანეზი“. 2006-07 წლებში ლიცენზიის მოპოვებისას მათი სალიცენზიო არეალი ფართოდ განისაზღვრა და მოიცვა როგორც მანგანუმის შემცველი 12 ზეგანი, ისე მათ შორის და მიმდებარედ განფენილი დასახლებული ტერიტორიები. მას შემდეგ კომპანიის კონტრაქტორები ეტაპობრივად და ხშირად ქაოტურად შედიან მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფელში და ათვისების ერთიანი გეგმის გარეშე, მიწის მფლობელებთან ინდივიდუალური მოლაპარაკების საფუძველზე და ზედამხედველობის გარეშე აწყობენ მოპოვების ახალ კერებს. „ბრაუნფილდ“ მოპოვებისას ახალი კერების გაჩენას განსაზღვრავს არა მოპოვების ერთიანი და შეთანხმებული გეგმა, არამედ ტექნოლოგიისა და ფასის ცვალებადობა, რაც სხვადასხვა ლოკაციას მეტად ან ნაკლებად მიმზიდველს ხდის მათი ფიზიკური ფაქტორების და ხარჯსარგებლიანობის მიხედვით.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „ბრაუნფილდ“ მოპოვებისას ხშირად რთულდება მოსახლეობისა და მომპოვებელი კომპანიის ურთიერთობა. „გრინფილდ“ შემთხვევებში მოპოვების დაგეგმილ არეალში მაცხოვრებელ მოსახლეობას აქვს შესაძლებლობა წინასწარ შეაფასოს მოსალოდნელი რისკები და ერთიანად შეუთანხმდეს მომპოვებელ კომპანიას განსახლებისა თუ კომპენსაციის პირობებზე. ასეთ მოცემულობაში მოსახლეობამ, დასაქმების ან

[16] T.E. Downing Does the Kosovo Power Project's Proposed Forced Displacement of Kosovars Comply with International Involuntary Resettlement Standards? The Kosovo Civil Society Consortium for Sustainable Development (2014) იხ. ბმული - http://allthingsaz.com/wp-content/uploads/2014/04/Final-Draft-Downing-Involuntary-Resettlement-at-KPP-Report-2-14-14.pdf

[17] Owen, John R., and Deanna Kemp. "Mining-induced displacement and resettlement: a critical appraisal." Journal of Cleaner Production 87 (2015): 478-488.

სოციალური ქსოვილის შენარჩუნებისთვის, შესაძლოა მოპოვების არეალთან სიახლოვე ან მასთან კოჰაბიტაცია თავად არჩიოს. ჭიათურის მსგავსს „ბრაუნფილდ“ შემთხვევებში კი, უკვე დაბინძურებული საცხოვრებელი და ბუნებრივი გარემოს გათვალისწინებით, მოსახლეობას ხშირად საცხოვრებლის დატოვება და მოშორებით გადასახლება უწევს, ხოლო მოლაპარაკებებს ართულებს წლების მანძილზე დაგროვებული წუხილები და მომპოვებელ კომპანიებსა და მოსახლეობას შორის არსებული უთანასწორო, კონფლიქტური ურთიერთობა.

არაეფექტური რეგულირება და საკანონმდებლო სისუსტეები

2006 წელს, კომპანიის სახელზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია ისე გაიცა, რომ სახელმწიფოსათვის სრულიად უცნობი იყო მოსაპოვებელი წიაღისეულის ოდენობა, მისი ზუსტი ადგილმდებარეობა და საზღვრები, რომლის ფარგლებშიც კომპანიას ოპერირება უნდა შეძლებოდა. უკიდურესად ზოგადი მოწესრიგების ფარგლებში, სალიცენზიო ტერიტორიამ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ადგილობრივი მოსახლეობის კერძო საკუთრებები მოიცვა და კომპანიას მანგანუმის მოპოვების უფლება საცხოვრებელი ტერიტორიებზეც მიეცა. საგულისხმოა, რომ ლიცენზიის გაცემისას როგორც სახელმწიფოსთვის, ისე კომპანიისათვის სრულიად ცხადი იყო რომ „ჯორჯიან მანგანეზს“ მოუწევდა ადამიანების კერძო ქონების, მიწებისა და სახლების ქვემოთ ემუშავა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ლიცენზიის გაცემისას ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აღნიშნულის შესახებ არავის უცნობებია, შესაბამისად არ არსებობდა მათი რაიმე ფორმით გამოხატული თანხმობა, საკუთარი სახლების დანგრევასა და სოფლების დაცარიელების თაობაზე.

აღნიშნული მდგომარეობა 2006 წლისთვის საქართველოს კანონმდებლობის უკიდურესმა დერეგულირებამ განაპირობა. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონს, რომელიც ლიცენზიების გაცემისა ზოგად წესსა და საქმიანობას არეგულირებდა, სამომავლო საქმიანობის ფარგლებში აღმოჩენილი კერძო მესაკუთრის უფლებები თითქმის სრულიად უგულებელყოფილი ქონდა.[18] ჭიათურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საცხოვრებელი საკუთრებების ქვეშ, საქმიანობის ლიცენზია ისე გაიცა, რომ არცერთ მოსახლეს აღნიშნულის თაობაზე რაიმე სახის თანხმობა გაცხადებული არ ჰქონია.

პარალელურად, ცხადია, 2006 წლისთვის ლიცენზიის გაცემის მომენტში ადგილობრივი მოსახლეობის ქონებაზე სამომავლოდ მისაყენებელი ზიანის წინასწარი დათვლა, შესაბამისი კომპენსირების განსაზღვრა და, მათივე თანხმობის შემთხვევაში, მოსახლეობის უსაფრთხო ადგილზე განსახლების პროცესები არ განხორციელებულა. შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტში გარდაუვალი რეალობა დადგა. წიაღისეულის მოპოვება ნელ-ნელა სოფლების საძირკველში შეიჭრა და გაყვანილი გვირაბებით, მიტოვებული ღია კარიერებით და დაზიანებული გარემო პირობებით ადგილზე შეუქცევადი ეროზიული პროცესები გამოიწვია, რამაც სოფელ შუქრუთის სახლების უმრავლესობა სიცოცხლისთვის საფრთხიშემცველ ადგილებად აქცია.

სოფელ შუქრუთის მოსახლეობას კომპანიის საქმიანობის შედეგად ერთჯერადი ზიანი კი არ ადგება, არამედ საქმე გვაქვს ადგილობრივი გარემოს ხანგრძლივ და შეუქცევადად

[18] „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 2006 წლის რედაქცია - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824?publication=3

დაზიანებასთან, საცხოვრებელი და სოციალური სამყოფელის განადგურებასა და სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში პირობების ჩამოყალიბებასთან. ადგილობრივ მაცხოვრებლებს თითქმის სრულად უნადგურდებათ მამაპაპისეული სახლები და პრაქტიკულად, იძულებულები ხდებიან სოფელი დატოვონ. პარალელურად, კომპანია არ აპირებს შეწყვტიოს საკუთარი საქმიანობა, შესაბამისად, ზიანი განგრძობითი და მზარდია. ადგილობრივი მოსახლეობა ხშირად აღნიშნავს მათ მჭიდრო ემოციურ კავშირს მამაპაპისეულ სახლ-კართან. მათი სურვილი სოფლის გადარჩენა და იქ ცხოვრების გაგრძელების შესაძლებლობაა. ამასთან, ისინი სრულიად ლეგიტიმურად აღნიშნავენ, რომ მათ საკუთარი სახლ-კარის დაზიანებაზე წინასწარი თანხმობა არასდროს განუცხადებიათ, შესაბამისად, დაზიანებული და განადგურებული საცხოვრებელი და სოციალური გარემოს სანაცვლოდ შესაბამისი და სამართლიანი კომპენსაციის მიღება სურთ.

სამწუხაროდ, ქართული კანონმდებლობა წიაღით სარგებლობის საქმიანობის ფარგლებში, ადგილობრივ სოციალურ გარემოზე, ადამიანების ქონებაზე, მატერიალურ თუ არამატერიალურ სიკეთეებზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების მკაცრად განსაზღვრულ წესსა და ჩარჩოებს არ ითვალისწინებს. ადამიანის კერძო საკუთრებაზე, ქონებაზე, რაიმე სახით მესამე პირის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, აწესრიგებს და მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესზე მიუთითებს.[19] აღნიშნული წესის შესაბამისად, მესამე პირისთვის მიყენებული ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო, განზრახული ან გაუფრთხილებელი ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს (დელიქტური ვალდებულებები). თუმცა, ჭიათურის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ პირებზე აღნიშნული ზოგადი წესის მისადაგება და ერთჯერადად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე საუბარი უსამართლო და არასწორი პრაქტიკის გამოვლინებაა. შუქრუთის მოსახლეობის ზიანი განგრძობით ხასიათს ატარებს და მათი ფუნდამენტური უფლებების დარღვევა, კომპანიის მიერ პერმანენტულად უგულებელყოფილი კანონმდებლობისა და სახელმწიფოს მიერ წლების მანძილზე განხორციელებული პასიური პოლიტიკის შედეგს წარმოადგენს.

ამასთან, ყველა ადამიანს აქვს სათანადო საცხოვრისის ქონის უფლება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია,[20] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი,[21] ევროპის სოციალური ქარტია[22] - ის საერთაშორისო შეთანხმებებია, რომლებიც სახელმწიფოებს ავალდებულებს, ნებისმიერი ადამიანი სათანადო საცხოვრისით უზრუნველყონ. საქართველო ყველა ზემოაღნიშნული შეთანხმების წევრია, შესაბამისად, მას ყველა ვალდებულება საკუთარი მოსახლეობისა და შეთანხმების სხვა მხარეების წინაშე აქვს აღებული. საქართველოს კონსტიტუცია ადგენს თითოეული ადამიანის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული საცხოვრებლით, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის

[19] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - იხ ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=113 - მუხლი 317, 992

[20] ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - იხ. ბმული - http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi3.pdf - მუხლი 25

[21] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1483577?publication=0 - მუხლი 11

[22] ევროპის სოციალური ქარტია - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/1392164?publication=0 - მუხლი 31

უსაფრთხო გარემოში, დაუბრკოლებლად სარგებლობდეს საჯარო სივრცეებითა და დაცული იყოს მისი კერძო საკუთრება.[23]

აღნიშნულის მიუხედავად, ქვეყანაში სათანადო საცხოვრისის უფლების შელახვის არაერთი განმეორებითი და განგრძობით შემთხვევები გვაქვს. სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად განადგურებული და დაზიანებული არაერთი საცხოვრებელი და ბუნებრივი გარემო მითითებული უფლებების უხეში დარღვევის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს.

სახელმწიფოს როლი სამთო-მოპოვებასთან დაკავშირებულ განსახლებასა და გადაადგილების შემთხვევებში (ე.წ. MIDR)

საერთაშორისო ორგანიზაციები და დარგის ექსპერტები სამთო-მოპოვებასთან დაკავშირებული განსახლებისა და გადაადგილების შემთხვევებს (mining induced resettlement and displacement, MIDR) განასხვავებენ ზოგადად დიდ ინფრასტრუქტურულ თუ ე.წ. „განვითარების პროექტებთან" დაკავშირებული განსახლების შემთხვევებისგან (development induced resettlement and displacement, DIDR). ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, სამთო-მოპოვებასთან დაკავშირებული განსახლებისა და გადაადგილების შემთხვევებში ხშირია ნაწილობრივი ან ეტაპობრივი განსახლებები, მოსახლეობისა და მომპოვებელი კომპანიის ხანგრძლივი და კონფლიქტური კოჰაბიტაცია. სამთო-მოპოვებითი საქმიანობის სპეციფიური ციკლურობის გამო, განსახლების საჭიროება შეიძლება დადგეს სხვადასხვა ეტაპზე (მოპოვების დაწყებამდე, მოპოვებისას, ან მოპოვების შედეგად), რაც განსაკუთრებით საყურადღებოა „ბრაუნფილდ" შემთხვევებში. ამასთან, სამთო-მოპოვებას ახასიათებს სპეციფიური და დინამიური გარემოსდაცვითი ნაკვალევი და მასთან ასოცირებული სოციო-ეკოლოგიური რისკი, რაც აუცილებელს ხდის შესაბამისი და კონკრეტულად სამთო-მოპოვებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო თუ ზედამხედველობითი ჩარჩოსა და სტანდარტის შექმნას.

ამ საჭიროებების და ასევე იმის გამო, რომ სამთო-მოპოვებას ახასიათებს მაღალი არაპროგნოზირებადობა, დარგის ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ „სახელმწიფოს მიერ გატარებული მკაცრი ზომების გარეშე, სამთო-მოპოვება შესაძლოა მასპინძელი მოსახლეობების მიწასა და ცხოვრებაში უხეშად შეიჭრას.[24] ამავდროულად, სამთო-მოპოვებითი კომპანიები გამოირჩევიან გაუმჭვირვალე პრაქტიკებით, ხოლო ტრანსნაციონალური ფორმები და მოპოვების პროცესში ქვეკონტრაქტორებზე დაყრდნობა მათ პასუხისმგებლობის არიდების დამატებით ბერკეტებს ანიჭებს. ამიტომ თუ სხვა შემთხვევებში ეროვნული კანონმდებლობები, ძირითადად, ინვესტორისა და მოსახლეობის ერთმანეთთან პირდაპირ მოლაპარაკებებს ეყრდნობა, სამთო-მოპოვების შემთხვევაში სახელმწიფოს ჩართულობა გადამწყვეტია; განსაკუთრებით მაშინ, როცა დღის წესრიგში განსახლების საკითხი დგება. ზოგიერთი საერთაშორისო სტანდარტი განსახლების თავიდან აცილებას პრიორიტეტად მიიჩნევს, თუმცა „ბრაუნფილდ" მოპოვების შემთხვევაში ეს ხშირად გარდაუვალი ზომაა.

პროცესში სახელმწიფოს ჩარევა ცხადია კომპენსაციის საკუთარ თავზე აღებას არ გულისხმობს, თუმცა შეიძლება მოიცავდეს ისეთ შემთხვევებს, როცა დაფინანსებას მომპოვებელი კომპანია უზრუნველყოფს, ხოლო განსახლებასა თუ სხვა ზომის ადმინისტრირების, ასევე სტანდარტების

[23] საქართველოს კონსტიტუცია - იხ. ბმული - https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36 - მუხლი, 5, 19, 29

[24] Owen, John R., and Deanna Kemp. "Mining-induced displacement and resettlement: a critical appraisal." Journal of Cleaner Production 87 (2015): 478-488.

დადგენას ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლება უზრუნველყოფს. საუკეთესო შემთხვევაში პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და მომპოვებელ კომპანიას შორის ლიცენზიის გაცემისას ნაწილდება, რის შემდეგაც ხელისუფლების ძირითადი პასუხისმგებლობა სალიცენზიო პირობების შესრულება ხდება. თუმცა, ამისთვის აუცილებელია ლიცენზირებისა და ზედამხედველობის გამართული სტრუქტურები, რაც ჭიათურის შემთხვევაში არ არსებობს. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფოს დროული და ქმედითი ჩართულობა იმ ეტაპზე, როცა იკვეთება კომპანიასა და მოსახლეობას შორის გართულებული ურთიერთობა და/ან მაღალი სოციო-ეკოლოგიური რისკები.

შუქრუთის დაზარალებული მოსახლეობის ძირითადი საჭიროებები და მოთხოვნები

საქართველოში, საკანონმდებლო რეგულირებისა და გაცხადებული სახელმწიფო პოლიტიკის არარსებობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრისა და ანაზღაურების საკითხს საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიებსა და დაზარალებული ადამიანების კონფლიქტად აქცევს.

საკუთარი ვალდებულებების გააზრების შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს ჭიათურის ტერიტორიაზე მოპოვებითი ლიცენზიის გაცემის მომენტისათვის, წინასწარ უნდა შეეფასებინა მისი გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე. განესაზღვრა გავლენის მასშტაბები და ეკონომიკური პროექტის მნიშვნელობისა და სარგებლიანობის, ადგილობრივ გარემოზე და მაცხოვრებლებზე მიყენებული ზიანის ურთიერთშეწონვით მიეღო პროექტის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება. ამასთან, იმ პირობებში, როდესაც საქმიანობა ტერიტორიების ღია თუ დახურული კარიერული წესით დამუშავებას ითვალისწინებდა, შესაძლო საფრთხეების, სოფლებისთვის და საცხოვრებლებისთვის მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, სახელმწიფოს წინასწარ უნდა ეზრუნა ადგილობირვი მოსახლეობის სათანადო საცხოვრისი უფლებაზე და მათივე სწორი ინფორმირების შემთხვევაში, სამართლიანი კომპენსაციის სანაცვლოდ მოსახლოების განსახლება განეხორციელებინა.

თუმცა, სამწუხაროდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემისას, სახელმწიფომ ზემოაღნიშნული არცერთი ვალდებულება არ დაიცვა. სახელმწიფომ მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე ადგილობრივების ინფორმირებაც კი არ მოახდინა. შესაბამისად, საქმიანობის გარკვეული პერიოდის თავზე, სოფელ შუქრუთში უმძიმესი რეალობა ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის მოულოდნელად დადგა.

დღეის, შუქრუთის მოსახლეობის განცხადებით, ადგილზე ცხოვრება უკიდურესად სახიფათოა. სახლები და მიწები საძირკველის გარეშეა დარჩენილი, მაღალია უბედური შემთხვევების რისკი.[25] მოსახლეობას ყოველდღიურად უმძიმესი ბრძოლის, დაშინებისა და რეპრესიების ფონზე, საკუთარი მოთხოვნების საჯაროდ გაჟღერება და პროტესტის სხვადასხვა ფორმით გამოხატვა უხდება.[26]

---

[25] „ბადრი ნეფარიძე შუქრუთის მკვიდრი“ - იხ. ბმული - https://bit.ly/3zc1X2i

[26] სოფელ შუქრუთში არსებულ უმძიმეს მდგომარეობას ადგილობრივი მოსახლეობა 2019 წლის 21 სექტემბრიდან აპროტესტებს. 2021 წლის თებერვალში განახლებულმა პროტესტმა, 11 მაისიდან უკიდურესი ფორმა მიიღო. თავდაპირველად ხუთმა კაცმა, ხოლო შემდეგ სამმა ქალმა შიმშილობის ნიშნად

ჭიათურაში შექმნილი სოციალური და ეკოლოგიური კრიზისის ყველაზე მწვავე გამოვლინებაა შუქრუთი, რადგან მაცხოვრებელთა პროტესტის მოთხოვნას, საკუთარი ქონების შენარჩუნებასთან ერთად, ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების სრული აღდგენა წარმოადგენს. მოსახლეობა აღნიშნავს, რომ კომპანიისა და სახელმწიფოს მიერ, ადამიანების საკუთრების შეუქცევადი დაზიანების თაობაზე, წინასწარი გაფრთხილებები, შეთანხმებები, გამოსყიდვისა თუ განსახლების პროცესები არ შესრულებულა, მათთვის არავის უკითხავს იყვნენ თუ არა თანახმა განადგურებულიყო ადგილობრიივი სოციალური და ბუნებრივი გარემო. სახელმწიფომ მათი ფუნდამენტური უფლებები არ დაიცვა და კომპანიას სხვისი ქონების შეუქცევადი დაზიანებების უფლება გადასცა. შესაბამისად, დღეს ადგილობრივი მოსახლეობა, ზიანის ფრაგმენტულად და ერთჯერადად შეფასების ნაცვლად, დაზიანებული ქონების სრული ღირებულების კომპენსირებას და კერძო საკუთრების შენარჩუნებას თანადროულად ითხოვს.

დაზარალებული მოსახლეობის სათანადო წესით კომპენსირების შესახებ

2019 წლიდან სოფელ შუქრუთში მოსახლეობა ქონებაზე მიყენებული ზიანის ერთჯერადი შეფასებისა და კომპენსირების წინააღმდეგ სხვადასხვა მოთხოვნებს აჟღერებს. პროტესტის განსხვავებულ ეტაპებზე მოსახლეობა კომპენსირების ალტერნატიული გზების მოძებნას ითხოვდა. ბოლო პერიოდში განსაკუთრებით ხშირია მოთხოვნა კომპენსაციის ოდენობის ჩანაცვლებითი ღირებულებით (replacement cost) განსაზღვრის შესახებ.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, მათ შორის მსოფლიო ბანკი, წიაღისეულის მოპოვებითი საქმიანობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სრულყოფილად დაკმაყოფილების სამართლიან გზად მოიაზრებენ ჩანაცვლებითი ღირებულების დაანგარიშებას იმ შემთხვევებში, როდესაც კომპანიის საქმიანობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობაზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენა შეუქცევადად მაღალია, ასევე მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება ადგილობრივების სიცოცხლესა და ჯანრმთელობას, და როდესაც მოპოვება არ ექვემდებარება სამუშაო გეგმის წინასწარ შეთანხმებას. აღნიშნულ შემთხვევაში ქონების შეფასებისას დაანგარიშდება არსებული ქონების შექმნის, აშენებისა თუ მოყვანის ღირებულება, ისე, როგორც ეს ადგილობრივ ბაზარზე არსებულ სამშენებლო თუ სხვა სახის კომპანიებს დაუჯდებოდათ. ამასთან, ჩანაცვლების ღირებულების დააგანრიშებისას, მხედველობაში მიიღება არსებული ქონება სრულყოფილად, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო მიწები, ბაღები, სავარგულები, ხე-ხილის ნებისმიერი ნერგები.[27] კომპენსაციის ღირებულების გამოთვლისას, მიღებულია, რომ ასევე დათვლილი იქნეს ზიანი ისეთი დამატებით გარემოებებისთვის, როგორიც შეიძლება იყოს:

პირი ამოიკერა. დღეისათვის, ადგილობრივების პროტესტმა თბილისში, ა.შ.შ-ს საელჩოსთან გადმოინაცვლა.

„EMC სოფელ შუქრუთის მოსახლეობის აქციას ეხმიანება“ - იხ. ბმული - https://bit.ly/34M38HB

„შუქრუთის მკვიდრთა პროტესტი თბილისში ინაცვლებს“ - იხ. ბმული - https://bit.ly/34N57ve

[27] Involuntary Resettlement Sourcebook - Planning and Implementation in Development Projects - იხ. ბმული - https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/14914 - გვ. 51

- დასაქმებისა და ნებისმიერი ფორმით მიღებული შემოსავლების დაკარგვა
- არსებულ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა
- არსებულ სოციალური შეღავათებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა
- არსებულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის დაკარგვა
- დამატებით ნებისმიერი მატერიალური და არამატერიალური დანაკარგი და ემოციური ზიანი, რომელიც მამაპაპისეული სახლკარიდან გადასახლებას და სრულიად უცხო გარემოში დასახლებას შეიძლება თან ახლდეს.[28]

საგულისხმოა, რომ „ჩანაცვლებითი ღირებულების გაანგარიშებისას კომპენსირების თანხაში შესაძლოა არ შედიოდეს არამატერიალური ზიანის ოდენობა. თუმცა, აღნიშნული ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე მსჯელობის საგანსა და დასათმობ სიკეთესთან ადამიანის ემოციური კავშირის დონეს უკავშირდება.[29] მათ შორის, კონკრეტული შეფასების გაკეთებისას, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს დაზარალებული პირისა და მისი ოჯახის მიერ საშიშ გარემოში, დაზიანებულ სახლში მუდმივი შიშისა და შფოთვის ფონზე გატარებული დროის ხანგრძლივობა.

წიაღისეულის მოპოვებითი საქმიანობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჩანაცვლებითი ღირებულების გზით კომპენსირების დროს, ასევე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს კომპენსირებადი ქონების სამართლებრივი მომავლის საკითხი - ანუ ის, თუ ვის საკუთრებაში რჩება მოპოვების არეალში მოხვედრილი ქონება. მითითებული სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული, მათ შორის დროზე, თუ როდის განხორციელდა კომპენსირება - წინასწარ თუ ზიანის მიყენების შემდგომ. როდესაც საქმე ეხება შეუთანხმებელი გეგმის პირობებში მიმდინარე საქმიანობით მიყენებულ ზიანს და საცხოვრებელი გარემოს განადგურებას, ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სრული კომპენსაციით დაკმაყოფილდეს და ამასთან, ქონების საკუთრებაში დატოვებაც მოითხოვოს. საგულისხმოა, რომ მსგავს შემთხვევებს ასევე ითვალისწინებს რამდენიმე ქვეყანაში განხორციელებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, როდესაც წიაღისეულის მოპოვება აზიანებს ადგილობრივების კერძო საკუთრებას, ჩანაცვლების მეთოდით კომპენსაციის გარდა, ადგილობრივი მოსახლეობა უფლებამოსილია დაზიანებული ქონება, მიწა, სახლები და ა.შ. საკუთრებაში დაიტოვოს. ამასთან, თუ ადგილზე კომპენსაციის გადახდის შემდეგაც, კომპანიის საქმიანობა გრძელდება, ადგილობრივებს შეუძლიათ აიღონ ვალდებულება, მიწის ნაკვეთებზე დამატებითი შენობების აუშენებლობის, ასევე მითითებული ქონების დროებით დატოვებისა და საქმიანობის პროცესისთვის ხელის არშეშლის თაობაზე. აღნიშნული შეთანხმებით ქონების მესაკუთრე ჩანაცვლებით ღირებულებით კომპენსირდება, საკუთრებაში რჩება ქონება, ხოლო მეორე მხრივ, საქმიანობის განმახორციელებელ კომპანიას ადგილზე სამუშაოების გაგრძელების საშუალება ეძლევა.[30]

---

[28] გავითარების პროექტებით გამოწვეული იძულებითი გამოსახლება და განსახლება - იხ. ბმული - http://greenalt.org/wp-content/uploads/2013/08/ganviTarebis_proeqtebiT_gamowveuli_iZulebiTi_gamosaxleba_da_gansaxleba.pdf - გვ. 17

[29] Involuntary Resettlement Sourcebook - Planning and Implementation in Development Projects - იხ. ბმული - https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/14914 - გვ. 52

[30] Minerals and Mining (Compensation And Resettlement) Regulations, 2012 (L.I. 2175) - იხ. ბმული - https://www.clientearth.org/media/jqmbshio/minerals-and-mining-compensation-and-resettlement-regulations-2012-l-i-2175-ext-en.pdf

„ჯორჯიან მანგანეზის“ თვალთმაქცური ქმედებები გაჩენილი მოთხოვნების საპასუხოდ

„ჯორჯიან მანგანეზი“, როგორც წესი საქმიანობის შედეგად ადამიანების საცხოვრებელსა თუ სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ფაქტებს უარყოფს. მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახლეობა მოთხოვნების ხმამაღლა გააჟღერებს და პროტესტის სხვადასხვა ფორმებს მიმართავს, კომპანია, ქვეკონტრაქტორების სახელით ზიანის ანაზღაურებაზე ადგილობრივ მოსახლეობასთან საუბარს იწყებს, თუმცა საკუთარი პირობებითა და მოთხოვნებით, რაც პროცესს უკიდურესად უსამართლოდ და გაუმჭვირვალედ აქცევს. კომპანია მოსახლეობას ბუნდოვან სამართლებრივ შეთანხმებებსა და პროტესტის შეწყვეტის სანაცვლოდ უსამართლო ანაზღაურებებს თავაზობს. აღნიშნულ ქმედებებს, შეთავაზებულ შეთანხმებებს და თანხებს, როგორც წესი სრულიად უსისტემო ხასიათი აქვთ და მხოლოდ სოფლის მოსახლეობის ერთიანობის დარღვევასა და მოთხოვნების დაკმაყოფილების დროებით გადავადებას ემსახურება.

„ჯორჯიან მანგანეზი“ - კონფლიქტის მხარე თუ მედიატორი?

ადგილობრივ მოსახლეობასთან არსებულ უთანხმოებაზე შპს „ჯორჯიან მანგენეზის“ გარემოსდაცვითი მმართველი მედიატორის ფუნქციით საუბრობს და საკუთარ თავს უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებელ კომპანია, შპს „შუქრუთი +“-სა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის მომლაპარაკებელის პოზიციაში განიხილავს.

საგულისხმოა, რომ ჭიათურის მთელ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლების მქონე ერთადერთ კომპანიას შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ წარმოადგენს. სწორედ მის სახელზე გაცემული ლიცენზიაა ერთადერთი სამართლებრივი წყარო, როგორც კომპანიის უფლებების, ისე მისივე ვალდებულებების. ადგილობრივ სოციალურ თუ ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე მთავარ პასუხისმგებელ პირსაც მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზიის მფლობელი წარმოადგენს. შპს „შუქრუთი+“ ქვეკონტრაქტორ კომპანიას წარმოადგენს, რომელსაც შპს „ჯორჯიან მანგანეზთან“ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ადგილზე მოპოვებითი სამუშაოების განხორციელების უფლება აქვს მიღებული. თუმცა, მისთვის ლიცენზია, ან მისი ნაწილი შპს „ჯორჯიან მანგანეზს“ არასოდეს დაუთმია. შესაბამისად, ნებისმიერი მესამე პირის წინაშე, ვისაც წიაღისეულის მოპოვებითი საქმიანობის შედეგად, რაიმე სახის ზიანი ადგება, სამართლებრივად პასუხისმგებელ პირს მხოლოდ და მხოლოდ შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ წარმოადგენს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სრულიად ბუნდოვანია, რა სამართლებრივი ლოგიკითა და საფუძვლებით ცდილობს კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველი, იტვირთოს მედიატორისა და შუამავლის როლი საკუთარი კომპანიის ქმედებების შედეგად დაზარალებულ ადგილობრივ მოსახლეობასთან მოლაპარაკების პროცესში.

„ჩანაცვლების ღირებულების“ კომპენსირება თუ ზიანის ერთჯერადი ანაზღაურება

მედიაში გავრცელებულ ინფორმაციით კომპანია თითქოს მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ადგილობრივი მოსახლეობის კომპენსირება ე.წ. „ჩანაცვლებითი ღირებულების“ კომპენსირების პრინციპით განახორციელოს და კომპენსაციის ოდენობა „ლევან სამხარაულის ექსპერტიზის

ეროვნული ბიუროს“ მიერ განისაზღვროს.[31] მაგრამ, სამწუხაროდ, კომპანიის მიერ საჯაროდ გაცხადებული პოზიცია და ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა ერთმანეთის საწინააღმდეგოა. წერილობითი შეთანხმება ადგილობრივებისთვის მხოლოდ კომპანიის საქმიანობის შედეგად, დაზარალებული ქონების ზიანის შეფასებისა და მისი ანაზღაურების გრაფიკის თაობაზე მოლაპარაკებას უკავშირდება. კომპანია თანახმაა ქონების შეფასება, სსიპ „ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ განახორციელოს, მხოლოდ ზიანის შეფასების გზით.

შეთამამების პირობა რომელსაც კომპანია მოსახლეობას სთავაზობს არ უკავშირდება „ჩანაცვლების პრინციპით“ მოსახლეობისთვის წლების მანძილზე მიყენებული შეუქცევადი ზარალის სრული კომპენსაციის წესსა და პირობებს.

უფლებების შეზღუდვა ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ

„ჯორჯიან მანგანეზის“ მიზანი ადგილზე სამუშაოების დაუბრკოლებლად გაგრძელებაა. ხოლო საკანონმდებლო ვალდებულებების არარსებობის ფონზე, საკუთარი მიზნის მისაღწევად კომპანია მოსახლეობისთვის თანხის ანაზღაურების განსაზღვრისა თუ ანაზღაურების წესებს ბერკეტად იყენებს. კომპანია მიიჩნევს, რომ მისივე ბრალით მიყენებული ზიანი შუქრუთის მოსახლეობას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა აუნაზღაურდეს, თუ ისინი ცალკე-ცალკე, კოლექტიურ ვალდებულებას აიღებენ, რომ სოფელ შუქრუთის ტერიტორიაზე არსებული ნებისმიერი სახის საპროტესტო გამოსვლა შეწყდება. ამასთან, მოსახლეობისთვის გადაცემული შეთანხმების ტექსტი პროტესტის საგანსაც კი არ არეგულრიებს და ადგილობრივებს, ნებისმიერი მოთხოვნის შემთხვევაში, იქნება ეს სხვა სახის სოციალური, პოლიტიკური, პიროვნული თავისუფლების თუ ასე შემდეგ, გამოხატვის თავისუფლებაზე უარის თქმას აიძულებს. წინააღდეგ შემთხვევაში კი შეთანხმების პირობების შესაბამისად, ადგილობრივებისათვის ნებისმიერი გადახდილი თანხის უკან გამოთხოვის უფლებასა და შესაძლებლობას იტოვებს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც კანონის საწინააღმდეგო შეთანხმებებებს მოიცავს, ბათილ შეთანხმებას წარმაოდგენს. გამოხატვის უფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ, ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია, ხოლო მისი შეზღუდვის მცდელობა უკანონოა. შპს „ჯორჯიან მანგანეზის“ მიერ ადგილობრივებისათვის რაიმე სახის ანაზღაურების მიცემის სანაცვლოდ, მსგავსი უფლებების შეზღუდვის მცდელობა უკიდურესად უსამართლო და ასიმეტრიული ძალაუფლების გამოვლინებას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი მძიმედ ამხელს ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებასაც, რომელსაც არანაირი ბერკეტი არ გააჩნია საკუთარი მოსახლეობის დაცვისა და მათი უფლებების შელახვის საწინააღმდეგოდ.

[31] „იმედის დილა“ - იხ. ლინკი - https://www.imedi.ge/ge/video/76319/imedis-dila--31-maisi-2021-tseli#!?page=3

დასკვნა

მოცემულ ვითარებაში ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება ერთადერთი სუბიექტია, რომელსაც პროცესის სამართლიანად და ეფექტურად წარმართვისთვის საკვანძო ფუნქციების შესრულება და, განსაკუთრებით მოპოვების „ბრაუნფილდ“ შემთხვევებში, ამით წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული განსახლების და სხვა სოციო-ეკოლოგიური რისკების შეფასება და თავიდან აცილება შეუძლია. აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ ხელისუფლებებს ხშირად ეფექტური რეგულირებისა თუ ზედამხედველობის ბერკეტები და რესურსები არ გააჩნია, რაც პროცესში ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობის აუცილებლობას წარმოშობს. არსებული მდგომარეობის და შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები, რათა აღდგეს შუქრუთის მოსახლეობის უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ბრაუნფილდ“ მოპოვების შემთხვევებში, წინარე მოპოვების და ბუნებრივი და საცხოვრებელი გარემოსთვის უკვე დაგროვებული ზიანის არსებობის გამო, ხშირად სადავო ხდება ზიანის შეფასება და მისი გამომწვევი მიზეზების კვლევა. ამასთან, ზიანის შეფასებაში ჩართული სხვადასხვა მხარეები შესაძლებელია ზიანს განსხვავებულად აფასებდნენ - როგორც მეთოდოლოგიის, ისე სხვადასხვა ტიპის ზიანის დაფარვის კუთხით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო უწყებები და იქ თავმოყრილი დარგობრივი ცოდნა მიიმართოს წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული ზიანის შეფასებისთვის, როგორც კონკრეტულ მესაკუთრეთა შეთხვევაში, ისე მთლიანად მუნიციპალიტეტის ბუნებრივ გარემოსთან მიმართებაში. ეს ინტერვენცია უნდა განხორციელდეს ზიანის შეფასების საერთო სტანდარტის შემუშავების სახით, რაც სამთო-მოპოვებითი სექტორის შესაძლო ნეგატიურ ზეგავლენას უფრო მდგრადად, სამართლიანად და მეთოდურად მოაქცევდა რეგულირების სივრცეში.

ადგილობრივ მოსახლეობასა და კომპანიას შორის სამომავლო კონფლიქტების აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია ასევე დაიწყოს მუშაობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად ადამიანების სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის კომპენსაციის ადეკვატური მექანიზმების, დათვლის წესისა და ოდენობის საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრის მიზნით, რათა ქვეყანაში უზრუნველყოფილი იყოს კონსტიტუციით გარანტირებული უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება და მოსახლეობას ნებისმერი სახით უფლების დარღვევის შემთხვევაში ეძლეოდეს ადეკვატური კომპენსაცია. ვინაიდან ყველა ზემოთჩამოთვლილი ფუნქციის საჭიროება სამთო-მოპოვებით საქმიანობას თან ახლავს ყველგან, სადაც ეს ინდუსტრია გვხვდება, ეფექტურობისა და სამართლიანობისთვის აუცილებელია საერთო სახელმწიფო სტანდარტის შემუშავება, რომელიც საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებსა და ადგილობრივ საჭიროებებზე დაყრნობით შექმნის ზიანის ანაზღაურებისა და განსახლების ერთგვაროვან წესს.